8(ნ)
ა 53

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ ალფენიძე

ორჰან ფამუქის „შავი წიგნის“ იდეურ-ესთეტიკური ანალიზი

სპეციალობა: 10. 01. 06 – მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების თურქოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ირინე გოცირიძე**

ოფიციალური ოპონენტები:

1. **გიორგი შაყულაშვილი**
   ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 10. 01. 06

2. **ელენე ჯაველიძე**
   ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი 10. 01. 06

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წ. „22" 09 14 საათზე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P 10. 06. №8 სხდომაზე

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №36

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
მისამართი: 0147, უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 21.08

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი (რ. ციხითათრიშვილი)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა.</u> თურქული ლიტერატურისა თუ ლიტერატურის ისტორიის კვლევა ბოლო დრომდე თითქმის მივიწყებული იყო. ტრადიციულად ქართველი თურქოლოგები თურქული ენის სხვადასხვა საკითხებს სწავლობდნენ. და საერთოდ, საქართველოში თურქოლოგია საკმაოდ დაშორდა ამ დარგში მსოფლიოში აღიარებული უნივერსიტეტების კვლევის სფეროებს. სწორედ მეცნიერების თანამედროვე მიზნებთან მიახლოების სურვილის გამო შეირჩა ჩვენ მიერ შესასწავლ საგნად თურქული ლიტერატურა განსაკუთრებით მისი თანამედროვე პერიოდი. ეს სურვილი არ არის შემთხვევითი და გამოწვეულია მთელი რიგი ვითარებით. უპირველეს ყოვლისა, ეს საკითხი საერთოდ არ არის შესწავლილი ჩვენს კრიტიკაში და ლიტერატურათმცოდნეობაში, თანამედროვე თურქულ ლიტერატურაზე ჩვენში ქართულ ენაზე არც ერთი კრიტიკული წერილიც კი არ არსებობს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, საზღვარგარეთთან კულტურულ-ეკონომიკურ სფეროებში გაცხოველებული ურთიერთობის დროს წარმოუდგენელია მეცნიერების ესა თუ ის დარგი არ იღებდეს მონაწილეობას.

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში მიმდინარე ეპოქალური ცვლილებები გავლენას ახდენს ქვეყნების, ერების, უბრალოდ ხალხის ტრადიციულ ცხოვრებაზე. სხვადასხვა კულტურის ქვეყნები სულ უფრო მეტად ემსგავსებიან ერთმანეთს, ეს პროცესი ღრმად ისტორიულ წარსულში გვახედებს, იგი დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ გლობალიზაციის იდეა მიზანთან ახლოს რატომღაც სწორედ ჩვენს ეპოქაშია. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვეცდებით ამ კითხვაზეც გავცეთ პასუხი. პოსტმოდერნიზმმა, მეოცე საუკუნის ადამიანის აზროვნებამ, ეს ერთი მხრივ ესქატოლოგიური და მეორე მხრივ ირონიული ან თუნდაც სატირული ვითარება ერთად მოიცვა საკუთარ თავში.

ზემოთქმული ნათელყოფს თემის აქტუალობას და განსაზღვრავს ჩვენი კვლევის მიზანს. მასალა, რომელსაც ეყრდნობა გამოკვლევა, ლიტერატურულ-ფილოსოფიური სამეცნიერო ლიტერატურაა.

თემის აქტუალობა იმითაც არის განპირობებული, რომ იგი ქართულ სამეცნიერო თურქოლოგიურ (ლიტერატურის) კვლევაში ახალი თემის შემოტანის პირველი მცდელობაა.

<u>კვლევის მიზნები და ობიექტი.</u> პოსტმოდერნიზმის შესწავლა ზოგადად და თურქულ ლიტერატურაშიც მრავალპლანიანი საკითხია. ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს: პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტების გამოვლენა **და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა;** თურქეთში მისი წარმოქმნა და ასევე გამომწვევი მიზეზების დადგენა; ორჰან ფამუქის „შავი წიგნის" ძირითადი იდეების გამოყოფა და **მისი** განხილვა.

<u>ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები.</u> სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს გამოკვლევები პოსტმოდერნიზმის შესახებ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში ვეცადეთ პოსტმოდერნიზმი ახლებურად, ქართულ კრიტიკაში ჯერ არარსებული მხრივ წარმოგვეჩინა, განგვეხილა [illegible] თანამედროვე ადამიანის, განზოგადებულად კი, მსოფლიო ცნობიერება, [illegible] მხატვრულ ლიტერატურაში ჩანს ხოლმე. ჩემ მიერ შესწავლილია [illegible] პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ორჰან ფამუქის [illegible] გამორჩეული ნაწარმოები („შავი წიგნი"). სადისერტაციო ნაშრომში [illegible] ცდაა თანამედროვე თურქული ლიტერატურის ასეთი შეფასებისა.

<u>კვლევის მეთოდები.</u> ნაშრომში გამოყენებულია [illegible] სტრუქტურული კვლევის მეთოდები.

2120
ეროვნული ბიბლიოთეკა
№2
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY